ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 267

2 ივლისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, №41გ-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.012.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი №41გ-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.012.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 16 ივნისის №21.817.918 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, №41გ-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.012.029) ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ.თბილისი, პეკინის გამზირი №41გ

№	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	სართული	ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ქეთევან ახობაძე	37001010298	სართული 12	12.89 2.18	01.10.13.012.029.01.1273 01.10.13.012.029.01.1272
2	სოფიო კაკაჩია	51001001394	სართული 4	13.69	01.10.13.012.029.01.1274
3	ნინო გაბისიანი	04001003561	სართული 13	13.17	01.10.13.012.029.01.1277